№ 108 სახალხო გაზეთი № 108

ხუთშაბათი, 16 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * *ხელის-მომწერთა საყურადღებოდ* * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

იულია რევაზის ასული ჯავროვისა შვილებითურთ და **ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ჯავროვი** სახლობით გულითადს მადლობას უცხადებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომელთაც პატივი სცეს და ანუგეშეს მწუხარებაში თანადასწრებით და აგრეთვე წერილებით და დეპეშებით,
(1—ნ.—1)

ღრმად დამწუხრებულნი **ვიქტორ ბაგრატის ძე და სონა ალექსანდრეს ასული, დარია ივანეს ასული და ბაგრატ ნიკოლოზის ძე ქავთარაძენი, მემნონ ნიკოლოზის ძე და ოლღა ალექსანდრეს ასული ჩხიკვაძეები** გულმოკლულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას პირველნი—საყვარელის შვილისა, მეორენი—ძვირფასის შვილის-შვილისა, ხოლო უკანასკნელნი—დაუვიწყარის დისწულის

თამარისას.

გამოსვენება იქნება 16 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ალექსეევის ქუჩა, № 5 (მიხაილოვის პროსპექტი), და დაკრძალვა ამავე დღეს წმ. ნინოს სასაფლაოზე.
(1—1)

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

დიდ ძალი

ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები.

ქალების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკომისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში. ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ხიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექტ. ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 1—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეთანხმებით. სათასპროთ. (200—5.—278)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბოპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოლოზოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—5.—439)

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადოდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—32)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. შესკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

ბიურო

პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საგანგებო ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი", „საქმე", „ზაკავკაზია", „ნოვოიე რეჩი" და ჟურნალები „მათრახი და სალამური", „ერი" და „თეატრი და ცხოვრება". ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგეთ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე. რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, აგრეთვე ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.

საჭიროა აგენტი

პროვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ საჩქაროდ**. საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: სამტრედიაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, ახალ-სენაკში, ბაქოში, ელისავეტპოლში (განჯა), ერევანში და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართვა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебро ъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

სარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ,

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიქირტუმოვი დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპ. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოლევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ახპიზოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—ნ.—97)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—15)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—216)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იზმაილოვის ქუჩაზე N 2. გადავიდა იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს. -2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი მ. ს. არჯევანიძე ქუთაისში. იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—9—11)

ქართული სექცია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს **მუშათა საყურადღებოდ**, რომ ქართ. სექც. სკოლებში 15 სექტემბრიდან დაიწყება სწავლა. სწავლის ფასია სამ თვეში 1 მან. ამ სკოლაში ხუთმეტ წლისაზე პატარა არ მიიღება მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ 7 სექტემბრიდან ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს **ექვსიდან შვიდ საათამდე**. იმავ სკოლებში: გოგოლის ქუჩა № 45 ვოგზლის მახლობლად ვერაზე, ოლგისქუჩა № 52, ოლღის სბებიო ინსტიტუტის გვერდით. ავლაბარი, ქალანთარის საქალაქო სკოლაში. (15—უ.—8)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ბრიუსელის უნივერსიტეტის სტუდენტი-ფილოლოგი ხელ მისაწდომ ფასებში აძლევს ფრანგულისა ლათინურისა და სიტყვიერების გაკვეთილებს

ადრესი რედაქციაში. (10—უ.—9)

წიგნების

იაფად გაყიდვა

15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე დანიშნულია დაკლებულ ფასად წიგნების გაყიდვა:

1. „სურამის ციხე", მეხუთე ახალი გამოცემა მშვენიერად 100 ც. . 10 შ.
2. არსენას ლექსი, ფერადი სურათებით 100 ც. . . . . 1 20 კ
3. „ვეფხის ტყაოსანი", მეოცე ახალი და სურათებიანი გამოცემა 100 ც. . . . . 30 „
4. „დონკიხოტი", დასურათებული მშვენიერს ყდაში . . 1 „
5. დიდი „ვეფხვის ტყაოსანი", კარგს ქაღალდზე ფერადი წამლებით დაბეჭ. მშვენ. ყდით 1 „ 50 „
6. ა. ყაზბეგის სრული თხზულება, ბიოგრაფიით, სურათ. და მშვენიერს ძვირფას ყდაში . 3 „ 50 „
7. ე. ნინოშვილის სრული თხზ. მშვენიერს ყდაში . . . . 1 „ 50 „
8. „ღალატი", მრავალი სურათ. და ავტორ. სურათ მშვ. ყდაში 80 „
9. სამზარეულო, სრული მშვ. ყდ. 1 „ 50 „
10. ქვეყნისთვის და მეცნიერებისთვის თავდადებულნი და ტანჯულნი, მრავალ სურათებით და კარგ ყდით . . . . 1 „
11. ავქსენტი ცაგარლის თხზ. I და II ტ. . . . . . . 80 „
12. „საქართველოს გეოგრაფია", ვახუშტისა, სურ. და საქარ. ქარტებით, მშვენიერს ყდით . 1 „
13. „გლეხი-კაცის ისტორია", ერკმან-შატრიანისა, მშვ. ყდით 1 „ 60 „
14. „გლეხი კაცი", გერმანულიდან ი. პოლუმორდვინოვის თარ. 60 „

და სხვა მრავალი წიგნები. ვისაც უნდა ბიბლიოთეკა - სამკითხველოებისთვისაც გვისრულობთ ძლიერ იაფად შევუკრიბოთ მთელი ქართული წიგნები.

ადრესი: ტფილისი, მიხაილოვის ქ. N 3. გ თავართქილაძეს. (6—6—2

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ვინც-კი თვალ-ყურს ადევნებს ჩვენსა თუ ქართულ სხვა გაზეთებში დასტამბულ სოფლებიდან მონა ერ ამბებს, უეჭველია, პ რველ ყოვლისა, იმ გარემოებას ჩაუკვირდებოდა, რომ სოფელი,—ჩვენის ქალაქებისა და დიდ-კაცობა-ინტელიგენციის მაცხოვრებელი სოფელი, — ყველასაგან დაბრიყვებული და აბუჩად იგდებულია. ვინ არ გინდათ რომ მას თავში არა სცემდეს, ვინ არ გინდათ, რომ წურბელად არ გახდომოდეს ამ ბედისა და გარემოებისაგან დაჩაგრულ ქართულ სოფელს და სისხლს არა სწოვდეს. ერი, ბერი, მღვდელი, თავადი თუ აზნაური, ნასწავლი, თუ უსწავლელი, ჩარჩი, თუ ვაჭარი, ყველა ღვთის რისხვად ვადაჰქცევია ქართულ სოფლებს.

ვისაც-კი სამკრომიანი კაკარდა მიუკრავს შუბლზე, ყველას თავისი თავი სოფლის ბატონი ჰგონია და ყოველი მხრიდან აწვალებს და აწუხებს ჩვენ საბრალო გლეხს.

როდემდის უნდა იყოს ასე!

როდემდის?

ადვილი ასახსნელია ეს საკითხი, მაგრა ახლა არც დრო და არც გარემოება ხელს არ გვიწყობს ერთის დაკვრით, ერთის მოქნევით აილაგმონ სოფლის მუქთა-მჭამელნი და წურბელები. ვისაც ახსოვს 1905-1906 დაუვიწყარი წლები, ამ ვაჟბატონების ასალაგმავი წამალიც ყველას ეცოდინება, მაგრამ, ვაი, ის არის რომ ამ ღირსშესანიშნავმა დრომაც ვერ გვასწავლა ჭკუა და თუ ხალხთა ცხოვრების სადავენი ხალხის ხელში აღარ დარჩა, იმდენი გულმოდგინეობა მაინც გამოიჩინოს ჩვენმა მყვირალა ინტელიგენციამ,—იმ ინტელიგენციამ, რომელთაც სოფლად სამსახური უხდება,—რომ სწორედ რუსის კანონის ძალით ალაგმონ ხოლმე თავისი უღმრთო ხელქვეითნი და მით ცოტა-შელავათი მაინც მისცენ თავის მაცხოვრებელ დაბალ-სოფლებს.

მაზრის ქართველ ექიმსა თუ მასწავლებელს, მომრიგებელ მოსამართლეს თუ შუამავალს ყოველთვის შეუძლიანთ ალაგმონ ასეთი თავხედი ხელ-ქვეითნი როგორიც არის ის ფერშალი, რომლის შესახებაც აი რასა გვწერს ქართლიდან ერთი ჩვენი მოამბეთაგანი.

„სოფელი ვნახე უძაღლო და შიგ გავიარე უჯოხოდ" რომ იტყვიან, მე და ჩემმა ღმერთმა, სწორედ ჩვენს ფერშალზეა ზედ გამოჭრილი! ეს ვაჟბატონი, ამ ერთის წლის წინად, ეხტუმრა ჩვენს სოფელს და თავისი თავი „დოხტურად" გამოაცხადა, მაგრამ იმ თავიდგანვე ექიმობის მაგიერ ლოთობას მიჰყო ხელი. მთელი დღეები დუქნებში ზის, ან დუქნის კარებთან დარაჯობს—ეგებ ვინმემ ერთი ჭიქა ღვინო მომაწოდოსო. სიტყვებით სულ იმას გაიძახის, რომ ჩემსთანა ექიმი ქვეყანაზე არ არის, ბევრი პირდაპირ სამარის კარებიდან მომიბრუნებიაო; ხოლო საქმით კი სულ სხვას ვხედავთ. ხალხი, რასაკვირველია, უნდობლად უყურებდა, მაგრამ თითო-ოროლა მაინც უვარდებოდა ხელში, რადგანაც ის აქ ერთად ერთი იყო ექიმობის ვითომდა წარმომადგენელი. ამ ვაჟბატონის სრულ დასახასიათებლად ათასი მისი გასაკვირი მოქმედებებიდან მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. მიიწვიეს ავადმყოფთან სოფ. ბ—ში. ეწვია ავადმყოფს, მაგრამ ძალზე მთვრალი გამოდგა. ავადმყოფის შემწეობის მაგიერ, ტახტზე მოიკეცა და მოითხოვა „ზაკუსკა".—მასპინძელმა ვარიას სტაცა ხელი დასაკლავად.

—არა, ამის დამზადებას დიდი ხანი მოუნდება, აგ ვარია ხურჯინში ჩამიდევი, სახლში წავიყვან,—ეუბნება ფერშალი.

—ბ-ნი ბრძანდებით!—გლეხმა შეუსრულა ბრძანება. ფერშალი მაინც განაგრძობს ჯდომას, რაღაცას უცდის...

—ბიჭო, განა ვარიის მეტი არაფერი არ უნდა მოგეტანა?—წამოიძახა ფერშალმა.

—როგორ არა, ბატონო, ღვინო, ყველი, პური, მამ მარტო ვარიაზე ხომ არ დაგტოვებდით, თქვა დალოცვილმა!

—მოიტა შვილოსან, რაღა! რას უცდი?

მიართვეს.

როცა ღვინით ძალზე გამოთვრა, მასპინძელს შესძახა: „აბა, ფეხის ქირა".

მიართვეს მანათი.

—რას მიჭქარავ! რომელი დოხტური გამოგყვება ამ ფასად?

—მამ, რამდენი მოგართვათ, ბ-ნო?

—უგუნურები ხართ, მხეც არ გესმისთ. აი შვილო: „ერთი მან. ფეხის ქირა, ათი შაური ცხენის ქირა, ათი შაური ავათმყოფის გასასინჯი და ათი შაურიც რეცეპტის დასაწერი. უყვიროდა ფერშალი საწყალ გლეხს და თან თვალებს უბრიალებდა—დასძენს ჩვენი მოამბე.

ჩვენ განგებ არ ვასახელებთ იმ სოფელს, სადაც ეს ვაჟბატონი „მოღვაწეობს", ვინაიდან ასეთი მოვლენა ერთი და ორი კი არ არის, ერთი და ორი სოფელი კი არ იტანჯება და მცირდება კუდა-ბზიკა მოხელეთაგან, არამედ ისეთი მოვლენა თითქმის საყოველთაოა ჩვენ დაბა სოფლებში და არც გვიკვირს: იქ, სადაც ცინგლიან გზირსაც კი ქვეყნის აწიოკება შეუძლია, კაკარდიანი ფერშალი უფრო თავხედი იქნება. ჩვენ მხოლოდ ის გვიკვირს რატომ ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი მოხელე-ინტელიგენტები ასეთ უტიფარ თავისს ხელქვეითებს და რატომ მისდამი მინიჭებულ უფლების ძალით არ ალაგმავენ მათ. მაგრამ, ქართველი უფროსი მოხელენიც საერთო სენით არიან შეპყრობილნი და მათი მოხელეობა უარესი ასატანია, ვიდრე გადამთიელებისა.

რუსის მოხელეობით გადიდგულებული ქართველი ინტელიგენტი თავს არ იტკიებს და „საკანცელარიო შრომით დაღალულ-დაქანცულს" თავისი თავი კი ქვეყნის „მარილი" ჰგონია! გაუფრთხილდით, ბატონებო თქვენ აღმზრდელ და მაცხოვრებელ სოფელს, თორემ სოფელი ოდესმე კიდევ მოგთხოვთ ანგარიშს და, აბა, რა პირით უნდა შეხვდეთ მას?...

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

14—15 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ

თავრიზი. ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორმა შახსევანების მიერ დამარცხებულ არდებილის გუბერნატორს მისაშველებლად 146 ფიდაი და 4000 პატრონა გაუგზავნა.

ნეაპოლი. აღმოაჩინეს ერთი ხოლერით ავადმყოფი.

თეირანი. თეირანის ჩრდილოეთ პროვინციების აჯანყება ლახიჯანში გუბერნატორად ნამყოფმა, ემირ-მუკერემმა მოახდინა. ემირ-მუკერემი მაზანდარანის მსხვილი მემამულეა და სპარსეთის მთავრობასთან პირადი ანგარიშები ჰქონია. იმას შეუკრებია ათასამდე კაცი და დაბანაკებულა თეირანიდან 50 ვერსის მანძილზე. ახლა მას შეუერთდნენ იზმაილ ხანი და რეშიდულ-სალტანე რომლებიც ვერამინიდან გაიქცნენ თავის მომხრეებთან ერთად, ემირ-მუკერემის ჯგუფები დადიან თეირანის ახლო სოფლებში და ხარჯს ახდევინებენ. ხმა დადის, რომ ემირ-მუკერემის შვილმაც აჯანყება მოახდინა მაზანდარანში და ქ. ბარფრუშის დაჭერას აპირებსო. თეირანიდან ბრძანებით აჯანყებულთა წინააღმდეგ ასტარაბადის გუბერნატორს, ემირ-აზამს გზავნიან, რომელსაც დაუქვემდებარებენ აგრეთვე მაზანდარანს და მისცემენ 500 სარბაზს, ჟანდარმერიის პატარა რაზმს და ოთხ ზარბაზანს.

ბერლინი. მოაბიტში, 13 სექტემბერს, საღამოს, ნახშირის ფირმის კაპიტულ მუშებს შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. როცა მუშების მხრით რამდენჯერმე გაისმა სროლის ხმა, პოლიციელებმაც იარაღი იშიშვლეს. ბრბო გაექანა რეფორმატების ეკლესიისკენ, გატეხეს კარები და ჩაამტვრიეს ფანჯრები. ბრბო დაშალეს; გაზეთების ცნობებით დაჭრილია პოლიციის სამი ოფიცერი, 40 გოროდოვოი და ბევრი მეამბოხეთაგანი.

რომი. ხოლერით ავად გახდა 4, მოკვდა 1.

ურმია. საბაჟოს დარაჯებმა შეიპყრეს კონტრაბანდა, რომელიც ეკუთვნოდა ოსმალეთის ქვეშევრდომთ. კონტრაბანდისტებმა ეს ოსმალეთის ელჩს განუცხადეს და ოსმალეთის ექვსმა ჟანდარმმა სცემეს დარაჯებს და კონტრაბანდაც წაართვეს. საბაჟოს უფროსმა პროტესტი განაცხადა ჟანდარმების საქციელზე.

თავრიზი. თავრიზსა და თეირანის გზაზე შახსევანებმა გაძარცვეს სპარსეთის ფოსტა. შახსევანების ცარცვა-გლეჯის გამო თავრიზიდან თეირანში მიმავალი ურმიის გუბერნატორად ნამყოფი, მუხტეშამუს სოლთანე სოფ. ტურქმეხჩში გაჩერდა.

სტამბოლი. 11 სექტემბერს ხოლერით ავად გახდა 6, 13 სექტემბერს 1. ერზრუმში 10—12 სექტემბრამდის ხოლერით ავად გახდა 33, მოკვდა 10.

დრუზის შეიხი არტუა-ატრაში და ორი სხვა მთავარი შეიხი მთავრობას დამორჩილდნენ. ესენი სამი—ფაშის სასახლეში დააპატიმრეს.

დამასკის ვალი დეპეშით იტყობინება, რომ სოფ. ტეხოს 500 მცხოვრებიც დამორჩილდა მთავრობასა.

კოპენჰაგენი. ჰოლანდიის გემზე, პეტერბურგიდან მოსულ მეზღვაურს, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით, ხოლერა აღმოაჩნდა.

რომი. დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 8, მოკვდა 4, აპულიაში მოკვდა 1.

სტამბოლი. გუშინ აქ ხოლერით ავად გახდა 3, მოკვდა 1. ტრაპეზუნდში ორი დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 60, მოკვდა 18, აზრუმში ავად გახდა 48, მოკვდა 24.

ბერლინი. გუშინ, მოაბიტში მომხდარ არეულობის დროს, დაიჭირა 38 პოლიციის აფიცერი და მოხელე. დაჭრილნი არიან ზოგი დანით, ზოგი—ქვით. დაჭრილ მეამბოხეთა რიცხვი დიდია.

ჰაერში ფრენა.

ბელოსტოკი. აუარებელ მაყურებელთა თანდასწრებით პარიზის ავიატორი—სციპიო ანრიოს მონოპლანით აფრინდა 100 მეტრის სიმაღლეზე და 15 წ. იფრინა.

პეტერბურგი. მეექვსე დღე გაჯიბრების. ხანგრძლივობის ჯილდო მიიღო რუდნევმა. რუდნევმა ფარმანის ბიპლანზე 1 საათი და 47 წ. იფრინა. მაციევიჩმა იფრინა—ნახევარი საათი, ულიანინმა—39 წუთი. კარგად დაშვების ჯილდო ეფიმოვმა მიიღო. ეფიმოვი ორჯელ გაფრინდა, პირველად იფრინა 16 წ. ხოლო მეორეთ 3 წუთი. მეორე ჯილდო მიიღო სეგნომ. გაჯიბრების ბოლოს ორი მგზავრით აფრინდა სრულიად რუსეთის ჰაეროკლუბის ბურთი „ვასილიკორნი".

რუსეთი

ბლაგოვეშჩენსკი. მდ. ზეიზე მიმავალ გემს „ექსპრესს" ცეცხლი გაუჩნდა. დაშავდა რამდენიმე მგზავრი და მომრიგებელი მოსამართლე.

კალუგა შეიპყრეს ერთი მძარცველთაგანი, რომლებმაც აგვისტოში ბიისის მაზრაში ფოსტა გაძარცვეს. წაართვეს 5626 მან.

ნოვოჩერკასკი. საოლქო მიწების საბჭომ დაადგინა შეიძინოს საგლეხო ბანკის საშუალებით 7000 დესიატინა მიწა და დაურიგოს ღარიბ ყაზახებს.

სევასტოპოლი. წყლის ქვეშ მავალი ნავი „კარასი" დაეჯახა „სინოპს". „სინოპა" ჩაიძირა. დაიღუპა ერთი მეზღვაური.

მოსკოვი. შეიპყრეს გლეხი კიტნასი, რომელმაც იუდინის სახელობით პეტერბურგის ფოსტიდან 22,600 მ.ნ. ხოლო მოსკოვის ფოსტიდან—45 (?) მან. გამოიტანა.

პეტერბურგი. საფინანსო სამინისტრო უარ-ჰყოფს იმ ხმებს, ვითომ განზრახული იყოს სესხის აღება და ამბობს, რომ არც შინაგან და არც გარეშე სესხის აღებას მთავრობა არ აპირებსო.

ჰელსინგფორსი. სეიმმა ერთხმად მიიღო საექსპედიციო კომისიის მიერ შედგენილი მიმართვა ხელმწიფისადმი. მიმართვა შეიცავს განცხადებას, რომელიც ტალმანმა წარუდგინა სეიმს და ამბობს, რომ იგი თანახმაა ტალმანისა და ვერ შეუდგება სეიმში შეტანილ საკითხების განხილვას.

ოდესა. საავადმყოფოში, ერთის გარდაცვალებულის ვაჭრის დროს, აღმოაჩინეს ფილტვების შავი ჭირის პირველი შემთხვევა. ყველა ავადმყოფები ასცრეს. გრადონაჩალნიკმა თითო ვირთაგვის დაჭერისათვის 15 მან, ჯილდო დანიშნა.

კიევი. შეიპყრეს ფოსტის მოხელე და ფოსტალიონი. ესენი მონაწილეობას იღებდნენ იმ ჯგუფში, რომელმაც ამ ნახევარი წლის განმავლობაში ყალბი საბუთებით ფოსტიდან რამდენიმე ათასი მანეთი გაიტანეს.

ჰელსინგფორსი. ტალმანმა და ვიცე-ტალმანებმა ხელი მოაწერეს ხელმწიფისადმი მიმართვას, მიმართვა უკვე გაიგზავნა გენ.-გუბერნატორის კანცელარიაში

ოდესა. გაიხსნა ქალაქთა საკეთილ-დღეოდ მოღვაწეთა სრულიად რუსეთის პირველი კრება. მონაწილეობას იღებს 150 წარმომადგენელი, წარდგენილ იქნება 28 მოხსენება.

ოთხი დღის განმავლობაში შავი ჭირით ავად გახდა 3, მოკვდა 1.

ხოლერა.

პეტერბურგი. დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 38, მოკვდა 19, ავად არის 532.

პეტერბურგი დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 23, მოკვდა 8, ავად არის 495.

ვოლოგდის გუბერნიაში ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 18, მოკვდა 9.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ქალაქის საბჭო**. 13 სექტემბერს ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდა. კრება 9½ საათზე დაიწყო. საბჭომ დაადგინა: 1) მიეცეს ქალაქის მუშას აკოფ ხალათოვს 28 წლის სამსახურისთვის შემწეობა ერთის წლის ჯამაგირი—300 მანეთი, 2) ნაძალადევის ზოგიერთ ქუჩას დაერქვას ის სახელები, რომელიც მცხოვრებლებს დაურქმევიათ, 3) დამტკიცებულ იქმნას ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილება, რომლითაც 100 მან. შემწეობა მიეცა ქალაქის სკოლების გალობის მასწავლებლის, ხოლერით გარდაცვლილ ნატრაძის დედას, 4) მიეცეს 250 მან. შემწეობა პოლიციელს გველუკაშვილს, 5) ფული არ გაიღოს ქალაქის პოლიციისათვის პატრონების საყიდლად, უყიდოს მხოლოდ იარაღი, 6) დაევალოს ქალაქის გამგეობასა და სატეხნიკო კომისიას, მოლაპარაკება გამართოს ინგლისელ ინჟენერ-კაპიტალისტების წარმომადგენელ თავ. ჩოლოყაშვილთან ქალაქის საგაზო ქარხნის აშენების შესახებ და 7) 25,000 მანეთი შეაძლიოს ეჩმიაძინის მონასტერს ელექტრონის სადგურისთვის საჭირო პაპკოვისეულ მამულში.

◆ **ხოლერიანთა რიცხვი**. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 13 სექტემბრის დილის 9 საათიდან 14 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ორი კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 1 ავადმყოფი, დარჩა—1.

14 სექტემბრის დილის 9 საათიდან 15 სექტემბრის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 1 ავადმყოფი, მოემატა—3, ახლა არის 3.

◆ **ტფ. ქართულ გიმნაზიაში**. ამ გიმნაზიის მეშვიდე კლასი დაიხურა კავკასიის ოლქის მზრუნველის განკარგულებით და არა სასწავლებლის მეთვალყურე კომიტეტის განკარგულებით, როგორც ჩვენს გაზეთში შეცდომით გვქონდა მოხსენებული.

◆ **ქალაქის გამგეობაში**, როსტოვის გამგეობა სთხოვს ტფილისისას გაუგზავნოს ტფ. ქალაქის თვითმმართველობის 1907, 1908 და 1909 წლების მოქმედების ანგარიშები.

◆ **სახალხო საღამო**. 12 სექტემბერს სპორტის ბაღში დიდი სახალხო წარმოდგენა გაიმართა. საღამოს მთელი შემოსავალი გადაიდება ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ.

◆ **ლექციები სახალხო სახლში**. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა სახალხო სახლში ლექციების მართვას შეუდგეს 26 სექტემბრიდან.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში**. 13 სექტემბერს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება მოჰხდა. გამგეობამ დაადგინა: 1) წერა-კითხვის ერთი სკოლა დაარსოს სომეხთათვის და 2) ეთხოვოს ქალაქის თვითმმართველობას წელს 500 მანეთი შემწეობა, ნაცვლად 300 მანეთისა.

◆ **ახალი გამოგონება**. პარიზის ინდუსტრიალურ გამოფენაზე საზოგადოებას დიდი ყურადღება მიუქცევია ჩვენის თანამემამულის ინჟენერ ნიკოლოზ სულხანიშვილის მიერ გამოგონილ მანქანას, რომლის შემწეობითაც ადვილი ჰხდება მაღალ შენობებს ასვლა, აგრეთვე იქიდან ჩამოსვლა. ბ-ნს სულხანიშვილის მანქანისთვის ყურადღება მიუქცევიათ სხვა და სხვა სახელმწიფოს კაპიტალისტებს და გამომგონისგან მანქანის ექსპლოატაციის უფლება შეუძენიათ. მანქანა თურმე განირჩევა მის მაგვარ მანქანებისაგან, როგორც თავის სიმარტივით და სიიაფით, ისე მით, რომ მასზე ძალიან ცოტა ენერგია იხარჯება. ბევრს გაზეთებს, უმეტესად სპეციალურ ჟურნალებს ეს გამოგონება დიდის ქებით აღუნიშნავთ. ბ-ნს სულხანიშვილს უმაღლესი სწავლა ჯერ გერმანიაში და შემდეგ რიგის პოლიტეხნიკუმში დაუმთავრებია.

◆ **ხოლერა ტფილისში**. პოლიციის ცნობით, 13 სექტემბერს ხოლერის ნიშნებით ავად გახდნენ: მატრონა ვლადიმერის ასული გორჩენკო და ალექსანდრე ნაუმის ძე ნიკოლაევი, ხოლო 14 სექტემბერს ავად გახდა: სიდო ისააკის ასული აივაზიშვილი.

◆ **ექსკურსია**. 14 სექტემბერს დილით ტფ. სახელოსნო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოსწავლენი, რიცხვით 37 კაცი, დირექტორისა და მასწავლებლების ხელმძღვანელობით საექსკურსიოდ ავჭალაში გაემგზავრნენ. მოსწავლეებმა ავჭალაში დაჰყვეს სამი-ოთხი საათი, დაათვალიერეს შესანიშნავი ადგილები და შენობები და იმავ დღეს საღამოთი ტფილისში დაბრუნდნენ.

◆ **სასამართლო პალატაში**. 13 სექტემბერს ტფ. სასამართლო პალატამ გაარჩია სვიმონ ჯუღელის საქმე. ბრალად ედებოდა სახალხო მოძრაობის დროს გაფიცვებში მონაწილეობის მიღება. სასამართლომ ჯუღელს ერთის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

◆ **სწავლის დაწყება**. გუშინ, 15 სექტემბერს სწავლა დაიწყო წერა-კითხვის ყველა იმ სკოლაში, რომელიც ტფ. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებამ დაარსა.

◆ **თავის მოკვლის განზრახვა** 13 სექტემბერს ტფილისში თავი მოიწამლა მარიამ თევდორეს ასულმა მიხაილოვისამ, ხოლო 14 სექტემბერს თავი მოიწამლეს: ბარბარე ბეჟანის ასულმა ხაჩატუროვმა და დომნა იაკობის ასულმა მარკოვისამ.

◆ **სასამართლოში**. 13 სექტემბერს, ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე გორის მაზრის მცხოვრების კორნელი კასრაძისა, რომელსაც ბრალად სდებდნენ 1905 წელს ს. ცხინვალის სამმართველოზე სხვებთან ერთად თავდასხმას, იქიდან იარაღის მოტაცებას და ბოქაულისა და მისის მწერლის ორის დღით დაპატიმრებას. სასამართლოში გამოწვეული იყო მრავალი მოწმე. მცირე თათბირის შემდეგ სასამართლომ კორნელი კასრაძე სრულიად გაამართლა. ბრალდებულს იცავდნენ ნაფიცი ვექილი ი. ბარათაშვილი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ-ნი გორდეზიანი.

◆ **სასწავლებლების რევიზია**. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტფილისის გუბერნიაში გაემგზავრა სასწავლებლებში რევიზიის მოსახდენად.

◆ **შავი ქვა ქართლში**. როგორც შეგვატყობინეს, ქართლში, სადგურ ქარელის მახლობლად, ციციშვილთა მამულში შავი ქვა აღმოჩენილა. ინჟინერს სულხანიშვილსა, არდიშვილსა და გუნცაძეს უკვე შეუკრავთ ხელ-შეკრულობა მამულის პატრონებთან. შავი ქვის ქიმიური ანალიზი მოუხდენიათ როგორც ადგილობრივ, ისე პეტერბურგში და აღმოჩენილა, რომ შავი ქვა წმინდა მადანი შეიცავს 52—56%. იმედი აქვთ, რომ მომავალ ზაფხულიდან შავი ქვის გატანასაც მოახერხებენ, თუ რაოდენობა შავი ქვისა ისეთივე ხელსაყრელი იქნება, რანაირიც მისი ღირსებაა. ხელ-შეკრულობა 36 წლით დაუდევიათ.

◆ **ხოლერა ამიერ-კავკასიაში**. ქუთაისში: 7-დან 9 სექტემბრამდე ხოლერით არავინ გამხდარა ავად, 10 და 11 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1. ქუთაისის გუბერნიაში: 10 სექტემბერს ავად გახდა 5, გარდაიცვალა—3. ყარსში: 11 და 12 სექტემბერს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4. ყარსის ოლქში (დამატებით): 26 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე ავად გახდა 20, გარდაიცვალა 6. ერივანში: 9 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა, 10 სექტემბერს გარდაიცვალა 1, 11 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა. ერივნის გუბერნიაში: 10 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდაიცვალა; 11 სექტემბერს ავად გახდა—4, გარდაიცვალა—1. განჯის გუბერნიაში: 8-დან 19 სექტემბრამდე ავად გახდა 5, გარდაიცვალა—3. ბაქოს საგრადონაჩალნიკოში: 6-დან 9 სექტემბრამდე ავად გახდა—15, გარდაიცვალა—5. ბაქოს გუბერნიაში 5-დან 8 სექტემბრამდე ავად გახდა—13, გარდაიცვალა—7.

◆ **მასწავლებელ ქალთა საზოგადოება** 26 სექტემბრიდან შარშანდელივით კვლავ ხსნის მოზრდილ მუშა ქალთათვის საღამოს კურსებს. კურსებზე გაივლიან პირველ დაწყებით სკოლების პროგრამას. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ „წერა-კითხვის საზოგადოების" ბიბლიოთეკაში (წყნეთის ქუჩა) და თვით ქალთა მასწავლებლების კანტორაში (ბარიათინსკის ქუჩა, № 6.)

◆ **რედაქტორის საქმე**. 13 სექტემბერს, ტფ. სასამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩია საქმე კვირეულ ჟურნალ „მოგზაური"-ს რედაქტორ კ. მგელაძისა. მას ბრალად სდებდნენ ჟურნალის მეექვსე ნომერში მუშების ამაღელვებელ

მუზა

— აი გეწვიე,—მე თვით მუზა ვარ!
დასწერავ ლექსსა, ვიდრე მე წავალ:—
— წმინდაა შენი გრძნობის ნაყოფი—
დაჰქრის აპოლონს პარნასის ქედზე;
მაჰკვდები—მაშინ ძეგლად უკვდავად
აღიმართება შენს წარსულ ბედზე.
და ასე:—ვიდრე სცოცხლობ, აქა ხარ
კვალად ვეწვევი, კვლავ დაგამწუხრებ;
იფეთქებ შენცა... მკვეთრის სიტყვებით
ქარიშხალს ასტეხ, ზღვას აამქუხრებ!..
— ეგ სიტყვებია, მხოლოდ სიტყვები—
არ სჩანს შედეგი—ნამდვილი საქმე...
არ ესმის მიწას როგორ ვქვითინებთ,
როგორა ვდრტვინავთ იქ ცა და აქ მე!
და ამაო ეგ ლექსთა ჟღერა,—
სევდის ნაკადულს ვერ დალევ, ვერა!

ბაბილინა.

იმედი

(ამონაკვნესი*)

იმედი! აი, ის საოცნებო მხარე, სადაც ადამიანის სიცოცხლე მარადის ჰყვავის გაზაფხულისავით; სადაც მის ბედის ვარსკვლავს არ ეფარებიან შავი ღრუბლები, შეჰხრის მის ციმციმს, ლოლიულობს მის შუქზე, შეჰნატრის მის სხივოსნებას...

იმედი! ეს ცხოვრების იქით გატყორცნილი სამფლობელოა, სადაც არ ჩადის მზე, არ ეფინება ღამე; მარად დღეა, მარად სინათლე...

ჩვენი სიცოცხლის კელაპტარი იქ ანთია ჩაუქრობლად; იქ გადაგვირგავს ნანინანატრად სათუთი გრძნობანი, სამო ოცნებანი, ნეტარებანი...

ო, როგორც უკვდავი ხე, იქ ჰხარობს, იქ მწვანობს, იქა ყვავილობს ჩვენი ცხოვრება, ჰნაზობს მზის შუქზე, დაუზოგავად მას რომ დაჰხარის; სტკბება ნიავით, სინაზით რომ მას აშრიალებს, ჰკეკლუცობს სხივებზე, ბედის ვარსკვლავი მას რომ მოუძღვნის...

მაგრამ აგერ სინამდვილე; ცხოვრებად წოდებული, სასტიკი, ცივი, მოუხეშავი, შავი ღრუბლებით გარემოცული შეეხო ჩვენს იმედს, ჩვენ საოცნებო მხარეს... სიცოცხლის ხეზე გასკდნენ, გახმნენ და ჩამოსცვივდნენ მწვანე ფოთლები და ცხოვრების ველზე დარჩა სულ გამხმარი ხე, უსიცოცხლოდ, ულამაზოდ, მთლად გაცარცული... შემოეხვიენ შავი ღრუბლები ამ ნეტარ მხარეს, სულ ჩაანელეს, ჩააბნელეს მზისა სხივები და გაამეფეს ბნელი ღამე, შავი წყვდიადი...

რასაც ჰქმნის იმედი, მას ანგრევს ცხოვრება; რასაც ეტრფვის ოცნება, მას ნიავად აქცევს სინამდვილე.

მაგრამ, ადამიანი!—ეს საამოცანო არსება მთელს ქვეყანაზე: იგი მრავალჯერ დამარცხებული კვალად იწყებს ოცნებას ახალ გამარჯვებაზე: მრავალჯერ ჩამქრალი მის გულში ლაპარაკი კვალად აღინთების; ცხოვრებისგან მთლად დავრდომილს და დასუსტებულს თუ ფეხით აღარ შეუძლიან წინ სიარული, ოცნებას მაინც იგი კვალად ფრთებს აშლევინებს, იმედის ლამპარს იქ, წინისკენ ააცისკროვნებს და ამ გვარად მაინც წინ მიჰქრის, მაინც წინ გასცქერს იმისი გული; და თუ იმისი იმედისთვის, მის ოცნებისთვის არა კმარა ეს ხილული, ვიწრო ქვეყანა, მაშინ **იმ ქვეყნად** იწყებენ ხოლმე იგინი სრბოლას, არ ეშინიათ არც იმისი „არ არსებობის", არცა სიბნელის, უსამზღვრობის, გაუვალობის...

აგერ წარმტაცი ჭაბუკი! ჯანღონით სავსე, დიადი იდეალებით გატაცებული, ძლიერი გრძნობებით აღელვებული.

გარშემო ვერაფერ სანუგეშოს ვერ ჰხატავს, მაგრამ ყველაფერი ვარდისფრად ეჩვენება, ყველა ჰგალობს, ყველა ჰხარობს იმის გარშემო. მისი ცხოვრება, მისი საუნჯე, მის ნეტარება მომავალშია, ოცნებაშია იმედებად გულს ჩანერგილი; მაგრამ ცხოვრებაში გამოუცდელს გონებით წმიდას, გულით უმანკოს იმედი და ოცნებანი სინამდვილისგან ვერ გაურჩევია, იგინი თვითვე სინამდვილედ ეჩვენებიან.

გავიდა ხანი, გადასცდა ცხოვრების საძირკველს და ჰხედავს, რომ მისი დიადი ოცნებანი სულ მცირედის, უმნიშვნელო სახით იქცნენ სინამდვილედ. იგი ვერ ისმენს ცხოვრებისგან იმ საამო ჰანგებს, რომელზეც ოცნებობდა, ვერ ჰხატავს იმ სინათლეს, რომელსაც შეჰხაროდა. მისი გონება-მეგობარი ხმა-მაღლა ეკითხება, ხომ არ მოსტყუვდა, ხომ არ გაცრუვდა მისი იმედი, მაგრამ არა! მას წრფელი გულით მაინც კიდევ სწამს, რომ თვალ-წინ გაშლილი სინამდვილე ჯერ მხოლოდ დასაწყისია მის იმედთა, მის ოცნებათა და შემდეგში გაიზრდებიან, დამთავრდებიან...

გადის ხანი, და ტკბილად მეოცნებე უკვე სტყუვდება, ის მცირე სინამდვილე არამც თუ იზრდება, უფრო მცირდება, უმნიშვნელო ხდება და ტკბილი იმედიც განუხორციელებლად ჰქრება. გული უკვდება, სასოწარკვეთა გონებას უბნევს, მაგრამ გულში მაინც ღვივის უკანასკნელი ნაპერწკალი ნეტარ იმედის და ჰფიქრობს იქნებ ამ ნაპერწკლიდგან კვალად გაჰღვივდეს დიადი ცეცხლი, ჩაუქრობელი და ამ იმედით მიესწრაფის თავის მომავალს.

გავიდა ხანი და ეს მცირე სინამდვილეც უკვე სულ გაჰქრა და ამის მოსაგონებლად აჩრდილივით რჩება მხოლოდ რაღაც ნიშნები, უმნიშვნელონი...

სასოწარკვეთამ უკვე მაგრად ჩაიგდო ხელში ცხოვრებისაგან გულმოკლული ადამიანი და ცხადი არის აღარც გაუშვებს, ვიდრე მსხვერპლად არ შეიწირავს სამარადისოდ.

მაგრამ ადამიანი, მისი უკვდავების მოტრფიალე გული მაინც არ სცხრება: დაე, მოსპოს ამ ცხოვრებამ, რასაც ეტრფოდა; დაე, დაბნელდეს სამუდამოდ, რაც უნათებდა; დაე მტვრად იქცეს, სულ გაჰქარწყლდეს, რაც მას უყვარდა, მაგრამ იქ, სადღაც, აი, გული ეძებს, სწყურია იპოვოს რაღაც. ის ხორციელადაც, სულიერადაც გაკოტრებული ვერ განშორდება ამ ქვეყანას: იმისი გონება თუმც ვერას ჰხედავს, მაგრამ მაინც სწამს, რომ ჰპოვებს იგი რაღაცას; იმისი გული ვერასა ჰგრძნობს, მაგრამ სჯერა, რომ იმ მხარეს იქნება რაღაც.

შეიძლება არაფერიც არ არის და ამ რაღაცის სანაცვლოდ სიფუჭე არის, ამაოება, მაგრამ ამ უკანასკნელ იმედში უკანასკნელად იფეთქებს და ამცნებს უპირთვნო ყოვლად შემძლეს თავის არსებობას ადამიანის დაუქანცველი სიყვარული აბსოლიუტურ ჭეშმარიტებისა და უკვდავებისადმი...

იმედი, ეს მუდმივი თანამგზავრი ადამიანისა სიკვდილის ჟამსაც არა ჰღალატობს და თან მისდევს სიცოცხლესთან გამოსალმების შემდგომაც.

დაე, სდუმდეს მარადისობა! დაე, ნუ გვამცნებს იმ ქვეყნიურ არსებობას და სინამდვილეს, მაინც ყოველი მომაკვდავი ნათელის რწმენით მიეგებება ახლად-გარდაქმნას და ეს იქნება გამარჯვება მარადისობის, სიჩუმეზე, სისასტიკეზე...

ლევ. მეტრეველი.

---

*) წინა სიტყვაობა „ლანდია"-ში, რომელიც „სახალხო გაზეთის" დამატებებში იბეჭდება. ლ. მ.

აღთქმის ქვეყნისკენ

(ნოველა)

„ბნელ ღამეში ვეძიებდი
მას, მივილტვოდი მისკენ,
და ვერ ვპოვე იგი..."
სოლომონ-ბრძენი.

ა.

„შენ ზენაარსო! რომელმაც დაგვიბნიე გზა მთის ნაპრალებს შორის,—

შენ, შემომქმედო, რომელმაც დაგვტოვე აქ მოკლე ჩირაღების ამარა, განგვინათე ბნელი გზა-დაბნეულთ,

შენ, მძლეთა-მძლე იეგოვა! ისმინე დამწუხრებულ გულთა კვნესა, ისმინე გზა დაბნეულ სულთა ლოცვა..."

ასე ლოცულობდნენ ისინი და შავ სუდარაში გახვეულ მთის კალთებზე მიემართებოდნენ. ნაღვლიანი ლოცვა შებრალების ბჭემდის ვერ აღწევდა, და ფრთა მომტვრეულ მტრედსავით ძირს ფართხალებდა, მლოცველთავე უბრუნდებოდა. ცრემლები, ცხელი ცრემლები წვიმის ცვარებივით ეცემოდა ხრიოკ მიწაზე.

შავბნელი ღამე გულ-გრილად უმზერდა, თუ ვით მილოლავდნენ აჩრდი-

წერილის დაბეჭდვას. სასამართლომ ბრალდებულს 3 თვით ციხეში დაპატიმრება გადუწყვიტა.

ამავ დღეს გაირჩა კ. მგელაძის მეორე საქმე. ბრალად ედებოდა ამავ ჟურნალის მე-ცხრე ნომერში მთავრობის საწინააღმდეგო წერილის დაბეჭდვა. სასამართლომ ბ-ნს მგელაძეს ამ საქმისთვის ერთის წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

◆ **ლექცია შავი ჭირის შესახებ** 27 სექტემბერს ქალაქის მოურავის მოადგილე ა. ი. ხატისოვი სახალხო სახლში ლექციას წაიკითხავს შავი ჭირის შესახებ.

◆ **პანაშვიდი გ. ნატრაძის სულის მოსახსენებლად.** კვირას 19 სექტემბერს საზოგადოება „განათლება“, ფილარმონიული საზოგადოება, სემინარია და ქალაქის ყველა ის სკოლები, სადაც კი მასწავლებლობდა უდროოდ გარდაცვლებული მუსიკოსი გიორგი ივანეს ძე ნატრაძე—გადაიხდიან პანაშვიდს. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში.

◆ 13 სექტემბერს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 47 უპასპორტო. ხოლო 14 სექტემბერს 4.

◆ წარსულ აგვისტოში, პოლიცმეისტერის კანცელარიის ცნობით ტფილისში 84 ბოროტმოქმედება მომხდარა. ბოროტმოქმედების ადგილას შეუპყრიათ 54 კაცი, ეჭვით შეუპყრიათ 44. წინად ნაცნობი ბოროტმოქმედებათა გამო შეუპყრიათ 12 კაცი. ამას გარდა ამ ხნის განმავლობაში შეუპყრიათ 14 გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული.

ქუთაისის ქალაქის ხმოსნების არჩევნები

ქალაქის არჩევნებს—14 სექტემბერი—უქმე დღე შეხვდა. მაღაზიები დაკეტილია. ვაჭრები, ნოქრები და სხვა მოქალაქენი ცოცხლად და ხალისიანად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში. სჩანს დემოკრატიულ-პროგრესიულ ნაწილის მკვირცხლი ხალისი და მოქმედება თუ რამ გააწყვეს ურა-უმრავლესობასთან.

ქალაქის თეატრს დილიდამვე ხალხი სქელი ჯაჭვივით გარს ახვევია.

„ფონი“ დიდი ხნის უქეიფობის შემდეგ, თუმცა ცალ-ფეხად, მაგრამ მაინც გაბედულად გამოვიდა საარჩევნო ბრძოლაში, სადღეისო წერილებთან ერთად შიგ მოთავსებულია პროგრესისტ ხმოსნების სიაც.

„Кут. Свист.“ პირ-ში-ბურთი ჩასჩრია და ხმას ვეღარ იღებს. ჩვენდა გასაკვირვლად თვით ბ-ნ მკურნალის სადღეისო მეთაურიც კი არ არის.

პროგრესიულ ჯგუფის „მოწინააღმდეგენიც, თურმე უქმად არ მჯდარან. ქალაქში „შავი“ ფურცლები გაჩნდა სადაც ემუდარებიან „ნათესავთა და ნაცნობთ“, პროგრესიულ ჯგუფის კანდიდატებს თეთრი კენჭები არ ჩაუგდონ. მაგალითად: დ. აველიანს, კიტა აბაშიძეს, ზდანოვიჩს, ვ. ბურჯანაძეს, გრ. გიორგაძეს, კრინიცკის, პ. ყიფიანს, რ. ფანცხავს, ე. საკოვს და მრავალ სხვებს.

ამ ფარულ ქვეშ-ქვეშობასთან ცხადლივ თავაშვებულობამაც იჩინა თავი. აღმოჩნდა, რომ ყუთები ხმოსნებს ან-ბანის რიგზედა ჰქონდათ ჩადგმული და არა ჩვეულებრივ იმის მიხედვით, თუ კანდიდატად დასახელების შემდეგ, ვის რამდენი ხმა ამოუვიდა. მაგალითად, ივანემ მიიღო ხუთი ხმა—პეტრემ 105. ყუთი ჯერ პეტრეს ეკუთვნის, შემდეგ ივანეს.

ბ-ნი კიტა აბაშიძე, ბურჯანაძე და გრ. გიორგაძე შეეცადნენ ამ ცვლილებისათვის კბილები გაესინჯათ.

კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი დ. ლორთქიფანიძე, ქალაქის თავი.

კ. აბაშიძე. აგვიხსენით, ღვთის გულისათვის, რითი ხელმძღვანელობდით რომ ყველგან მიღებული ძველი წესი დღეს ახალ წესად შეგიცვლიათ.

დ. ლორთქიფანიძე. ეს ცვლილება ჩვენდა თავად მოვახდინეთ, პრაქტიკულის მოსაზრებით.

კ. აბაშიძე. 12 წლის პრაქტიკის შემდეგ დღეს მიაგენით ამ ახალ საშუალებას? და ისიც ჩვენს დაუკითხავად—ეს თვითნებობას ნიშნავს.

დ. ლორთქიფანიძე. ჩემს მოქმედებაზე მე ვაგებ პასუხს. როგორც მიმაჩნია უმჯობესად, ისე ვიქცევი... (ე. ი. ქართული ანდაზა რომ ამბობს: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“.)

კ. აბაშიძე. პროგრესიულმა ჯგუფმა ჩაგრიცხათ თქვენც თავის სიაში, მაგრამ ამგვარ ძალადობის შემდეგ, ვრწმუნდებით რომ თქვენ ამისი ღირსი არა ყოფილხართ, და გიცხადებთ რომ თქვენ ჩვენის ჯგუფიდამ გამორიცხულად ითვლებით.

დ. ლორთქიფანიძე. (არეულად) ვინ გეხვეწებოდათ სიაში რომ მომაქციეთ... არც საჭიროა.

გ. გიორგაძე. როდესაც ვიწყებთ და ვაძლევთ უპირატესობას მეორეს, უნდა ვიცოდეთ მათი ღირსება-ნაკლულევანებანი. ჩემის აზრით...

დ. ლორთქიფანიძე. (სიტყვას აწყვეტინებს) თქვენი აზრი ჩემთვის საჭირო არაა. იგი მაინც ვერ შემიცვლის ჩემს გადაწყვეტილებას.

გ. გიორგაძე. მაგვარ ოინებს კარგად ვიცნობთ, იგი ჩვეულებრივი ქუთათური არჩევნების ხრიკებია.

ბ-ნი დ. ლორთქიფანიძე, თუმცა ქართულად ვეღარ ახერხებს ლაპარაკს და ყველას რუსულად ებაასებოდა, მაგრამ ქართული ნალაპარაკევი ალბად მაინც ესმის. ახსენა თუ არა ბ-ნმა გიორგაძემ „ხრიკებიო“ თავმჯდომარე ფიცხლავ წამოიჭრა ფეხზე, დაავლო ზარას ხელი და სტკიცა რუსული ცივი „ატკაზი“.

—აღარ გაძლევთ ნებას, მაგ საგანზედ მეტი ილაპარაკოთ!..

შეიქნა თეატრში ხრიალი, ღრიალი, ყვირილი. „ილაპარაკოს“, „სთქვას“, „ხმა აქვს“, „არ შეიძლება“, „ალფავიტზე“, ბატონო „ალფავიტზე“... მოისმოდა ცალ-ცალკე და ყველა ერთად...

თავმჯდომარესაც ეს უნდოდა. ძლევა-მოსილმა ზარამ ხალხი დააშვიდა, მოლაპარაკენი დაჩუმა და გამარჯვებულის სახით სკამზე დაჯდა.

მაგრამ გაიმარჯვა კი?.. ვნახოთ რა ამბავს მოგვიტანს სალამოს 9 საათი...

ჯაფარ-ფაშა.

დეპეშა

(კერძო)

ქუთაისი. ღრმად აღვაშფოთა ვაჩნაძისაგან პატივცემულ მდივანის მხეცურმა შეურაცხყოფამ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენის დროის მანკიერი მოვლენა გულს არ გაუტეხს პატიოსან საზოგადო მოღვაწეს. ამავე გრძნობას ვუცხადებთ კილოსანიძესაც.

კონსტანტინე ბაქრაძე, იაკობ ფანცხავა, დავით კლდიაშვილი, ბენედიქტე ლეჟავა, დავით პეგელიანი, ვიქტორ ჯაფარიძე, ნესტორ ფურცელაძე, გიორგი თუთბერიძე, ბაკი იოსელიანი, ნიკოლოზ კანდელაკი, დავით ნაზაროვი, დავით მაჭავარიანი, ვასილ კლდიაშვილი, ევგენი ჩიქოვანი.

მცირე შენიშვნა

(წერილი რედაქციის მიმართ)

გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთში“.

თქვენი გაზეთის კვირის № 106-ში საგურამოდან მოწერილს კორესპონდენციაში, სხვათა შორის, წავიკითხეთ: „ილიას კოხტა სახლში სხვა ხართობს, იტყვიან იქ სკოლა არსებობსო! არის სკოლა და **საწუხაროდ იმისათვის სარდაფი ურგუნებიათ** (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) და სხვ... საკვირველია ზოგიერთი კორესპონდენტის საქმე! შარშან იყო და ერთმა ამ ჯურის კორესპონდენტმა, რომელსაც, როგორც გამოირკვა, თვალითაც არ ენახა ილიასეულს სახლში მოთავსებული სკოლა, ერთი უშველებელი ჭორი გამოაცხო ერთს ქართულს გაზეთში—„სკოლა სარდაფშია მოთავსებულიო!“ ამის გამო მაშინ კამათიც კი გაიმართა საზოგადო კრებაზედ, რომელზედაც ვამტკიცებდით, რომ ვერსად საგურამოში და ვერც ილიასეულს სასახლეში, გარდა ქვემო სართულისა, ვერ იპოვით სკოლისათვის შესაფერისს სადგომს-მეთქი. სკოლისთვის საჭიროა ნათელი და საკმაოდ მოდიდო ოთახი, რომელსაც სინათლე მარცხნით უნდა ჰქონდეს და არა უკან, ან მარჯვნით, რადგანაც ამ მხრით სინათლე ჰიგიენურის თვალსაზრისით მავნებელია. არც ზემოთ და არც შუა სართულში ოთახები სასკოლოდ არ ვარგა, თუ კედლები არ გამოინგრა და ოთახები არ გაერთიანდა; კედლების გამონგრევა კი საზიანოა მთელის შენობისათვის. იმ ბინას, სადაც დღეს სკოლაა გამართული მართალია ზოგიერთი ნაკლულევანება ჰქონდა, როგორც მაგალითად, აგურის იატაკი და სხ. მაგრამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ წელს თორმეტ თუმანზე მეტი დახარჯა, რომ საკლასო ოთახი სასურველად მოეწყო და მოაწყო კიდეც. ძნელია კამათი ისეთ კაცთან, რომელიც ვერ არჩევს საგანს, ან არ ესმის რის შესახებ სწერს, ან არ უნახავს და ჭორებსა სთხზავს განძრახ, რომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. იმის დასამტკიცებლად, რომ ილიასეული სახლის ქვემო სართული, სადაც სკოლაა მოთავსებული, სრულიად სარდაფს არ წარმოადგენს, ამასთანავე გახლებთ ფოტოგრაფიულს სურათს*), რომელზედაც ნათლად სჩანს, როგორც სკოლის შენობა, ისე მისი მოწაფენი. როგორც სურათიდან დაინახავთ სკოლის წინ აქვს ფართო და გრძელი აივანი, სადაც ბავშვები ისვენებენ ავდარში. (აივნიანი სარდაფები, მგონია, არსად არ არის), ამ აივნიდან ჩამოდის ქვევით კიბე, რომელზედაც: როგორც სურათზედ სჩანს. მოწაფეები სხედან, კიბიდან გზა მიდის შადრევანისკენ. რომელიც სურათზედვე სჩანს და შემდეგ გადის ეზოში და ბაღში.

რადგანაც საგურამოს სკოლის შესახებ ადვილ-ახსნილი კორესპონდენტების მიერ ამგვარი ჭორი პირველი არ არის, ამიტომ, თუ საგურამოს სკოლის საკითხი საზოგადო საკითხად მიგაჩნიათ და შესაძლებლად დაინახავთ, გთხოვთ ეს სურათიც დაბეჭდოთ თქვენი გაზეთის კვირის დამატებაში, რომ ამით ავალაგმოთ ცრუპენტელა კორესპონდენტები და საზოგადოებასაც სიმართლე დავანახოთ*). რაც შეეხება კორესპონდენტის სხვა შენიშვნებს მამულის შესახებ, ამაზე იმედია ბ-ნი ალ. ყიფშიძე, რომელიც ჩემს ვექილობას არ საჭიროებს, შესაფერისს პასუხს გასცემს და ნათელს მოჰფენს იმ მითქმა-მოთქმას, რასაც ზოგიერთები ავრცელებენ, სიტყვით და კალმით, ილიას ნაანდერძევ მამულის შესახებ.

გამგეობის წევრი ლ. ბოცვაძე.

---

*) ფოტოგრაფიული სურათი მივიღეთ. რედ.

*) სურათი დამატებაში ვერ დაიბეჭდება. ძალზე მკრთალია. რედ.

მოწერილი ამბები

ქ. თელავი. „სახალხო გაზეთში“ მხოლოდ ერთხელ, ისიც მეტად მკრთალად, იყო აწერილი ის უბედურება, რომელიც თელავს დაატყდა თავს ამ ერთი თვის წინედ, ხოლერის გაჩენის გამო.

ხოლერისაგან გამოწვეული შიში და ელდა მით უმეტეს ორკეცდებოდა, რომ თელავი სრულებით მოუმზადებელი დახვდა. არსად ექიმი, არსად ფერშალი, არსად ბარაკი, სანიტარები და სადეზინფექციო საშუალება. ამიტომ ადვილი გასაგებია, როგორ ზარს დასცემდა ყველას. სამწუხაროდ მოქალაქეთა უმრავლესობამ არც კი იცოდა თუ როგორ უნდა დაეცვა თავი ამ საშინელ სენისაგან და აკი ამისათვის ყველა ცდილობდა როგორმე გასცლოდა თელავს, მდგარაკენი სახლებად მიეშურებოდნენ, ხოლო მცირეთაგანი ზოგი სოფელში მიდიოდა, ზოგი მონასტერში. ამ დროს საჭირო იყო ლექციები, მაგრამ ამას ვინ წაიკითხავდა, როცა ერთად ერთი ექიმი, ბ-ნი მ. ცისკარიშვილი ხოლერიან ავადმყოფების შემოწმებასაც კი ვერ ასდიოდა.

იქნება მკითხველმა იკითხოს: რას აკეთებდნენ ქალაქის მამებიო?—არაფერს!

მაშინ, როცა ხოლერა ირგვლივ ედებოდა და ერტყმებოდა თელავს, ქალაქის თვითმმართველობის კრება მოუხდინა, ბედნიერ ხმოსნებს გადაეწყვიტათ: ხოლერიან ადგილებიდამ მოსულთათვის მეტია დეზინფექციაო, მართალია წინედ სანიტ. მზრუნველებიც ამოარჩიეს და 20 თუ 30 თუმანი გადადეს, მხოლოდ შემდეგ გამონახეს ისეთი კანონი, რომლის ძალითაც ქალაქი სამაზრო კომისიაში შედიოდა, მორჩა და გათავდა.

ხოლერამ კი ისე უცბად იფეთქა რომ ყველას თავზარი დასცა. დღეში 5—8 კაცი ხდებოდა ავად. უმრავლესობა მაშინვე იხოცებოდა. კიდევ კარგი, სამაზრო ექიმი მ. ს. ცისკარიშვილი, რომელიც სამკურნალოდ სხვაგან იყო წასული, წინა დღეებში ჩამოვიდა და თავის ერთ ფერშალთან ერთად დაიწყო დაუღალავად მუშაობა. საბედნიეროდ თელავშივე აღმოჩნდა სამხ. აკადემიის 5 კურსის სტუდენტი, რომელიც კომისიამ მაშინვე მოიწვია. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ საექიმ. ფერშალის გარდა პოლიციამ დიდი უნარი გამოიჩინა—დღე და ღამ გამუდმებით მუშაობდნენ და საჭირო ღონის ძიებას იღებდნენ ჭირის მოსასპობად.

ამათი დახმარებით და აგრეთვე თელავის მშვენიერი ჰავით და დედამიწის სიღრმიდამ მოჩუხჩუხე სადი წყლის წყალობით ხოლერა სულ ორ კვირამდე გაგრძელდა, შემდეგ იკლო და სრულებით მოისპო. მიუხედავად ამისა ამ საზიზღარმა სტუმარმა მაინც 30 მეტი იმსხვერპლა და თუ მცხოვრებთა რაოდენობას მივიღებთ მხედველობაში ეს დიდ პროცენტად უნდა ჩაითვალოს.

დავიწყებული.

—

ს. ყვარელი (კახეთი). ეს ათას კომლიანი სოფელი, შემკული ყველაფრამდის, სამშობლო დიდებული ილიასი, დღეს ღვთის ანაბარადაა მიგდებული. ჩვენთვის არაფერი კულტურული დაწესებულება არა: არც ხეირიანი სკოლა, არც სამკითხველო, არც გზა, არც ფოსტა, არც ექიმი. მაზრის უფროსი (ქართველი თავადი), ეს ორი წელიწადია, რაც თელავის მაზრას განაგებს და ჩვენს სოფელში ერთხელაც არ ბრძანებულა. მომრიგებელი შუამავალი (ესეც ქართველი თავადია), თუმცა თხუთმეტ ვერსზედაა აქედან, მაგრამ წელიწადზე მეტია, რაც აქ მისი ბრწყინვალება არ ბრძანებულა. ამოდენა სოფელი მარტო მამასახლისის ანაბარადაა მიგდებული; ამ გაჭბატონმა—ხელობით მედორემ, და ყოვლად უვიცმა, რადაც სასწაულით მამასახლისობა იგდო ხელში და თავის ჭკუაზედ ათამაშებს სოფელს. თუ რა ხდება ჩვენში, ეს ამ კორესპონდენციით გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია: ქურდობა დღისით-მზისით, მექრთამეობა, მევახშეობა, მედუქნეების ადვილ-ახსნილობა, უსუფთაობა, ათასნაირი ავადმყოფობა, აი რა არის საზრუნავი სოფლისათვის, მაგრამ ამაზე არავინ იტკივებს თავს. ყველა ამაზე ზრუნვა პირდაპირი მოვალეობაა მომრიგებელ შუამავლისა, მაგრამ მათ ბრწყინვალებას ისე აინტერესებს სოფლის ჭირ ვარამი, როგორც მე და შენ, მკითხველო, შარშანდელი თოვლი. „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გაიარე უჯოხოო“, სწორედ ჩვენზედაა ნათქვამი.

მიწის მუშა.

—

ოზურგეთი. თუმცა და წინად აქაური მუშებიც აჰყვნენ საერთო ფეხისხმას და დაიწყეს თვით-მოქმედება, მაგრამ დადგა თუ არა რეაქცია, უცბად ყველაფერზე ხელი აიღეს, და იმედდაკარგულებმა კარტ-ნარდის თამაშს მიჰყვეს ხელი.

რეაქციით, რა თქმა უნდა, ისარგებლეს „ხაზეინებმა“ და როგორც უნდათ, ისე მიჰყავთ თავიანთი საქმე. არც კვირა-უქმესა და არც თავის დროზე მუშებს მოსვენება არა აქვთ, როგორც უნდათ, ისე ამუშავებენ ჩვენი ადები. არც ერთი რამ მაგვარი არ მოხდება, რომ ნოქრებში რაიმე ერთობა იყოს. ან კი სადა სცალიათ?! როგორც ამათ გაზეთი სძულთ, ისე, გგონებ, თათარს ღორის ხორცი არ ეჯავრება. არც ერთი მათგანი გაზეთის კითხვას არ ეტანება. ან კი რად უნდათ ქუჩის ნოქრებს გაზეთი, როცა დღის ბედამად აქვთ.

წინა წერილში ჟურნალ გაზეთების მიუღებლობაზე ვჩიოდით. ახლა, ეს ორი დღეა, რაც ბ. თალ—ძემ გაზეთები მიიღო, მაგრამ ვაი ამგვარ მიღებას! მხოლოდ სახელად მიდის, საქმით კი... თურმე ნუ იტყვით, ყველა გაზეთი „ღახლში“ შეუნახავს. მიზეზი? თურმე დამლარებელი ვერ უშოვნია... ნეტა როდემდის!!

ბანქო-ნარდის თამაში აქ ჩვეულებად გადაიქცა. ვინ გინდათ, რომ ამ სენით არ იყოს შეპყრობილი. ვაჭრებს ხომ ჩვეულებად გადაექცათ.

7 სექტემბერს სოფ. დვაბზუში მოხდა მამასახლისის არჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი მამასახლისი (სიმონ გირკელიძე) ბევრსა სცდილობდა ისევ თავის ადგილზე დარჩენილიყო, ის მაინც გააგდეს. იმის ადგილზე აირჩიეს ძლიერ პატიოსანი და მშრომელი მუშა სიმონ ღოღონაძე. **ოზურგეთელი.**

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. ქართული დასის შედგენილობა უკვე გამოირკვა, რეპეტიცია—სამზადისი დაიწყო და ამ თვის ბოლო რიცხვებში სეზონიც გაიხსნება. აქვე არ შეგვიძლიან გაკვრით არ აღვნიშნოთ ზოგიერთთა ქცევა,—რომლებიც დიდი ხანია ეჭვის თვალით უცქერიან ქართულ სეზონის მომავალს.

მთელი დასაბუთება ამ წუნია-კრიტიკოსებისა გამოიხატება იმაში, რომ არ იცნობენ მომავალ სეზონში რეჟისორად მოწვეულ ბ-ნ კორიძის სარეჟისორო ნიჭსა და გამოცდილებას

ლების მსგავსი ადამიანები, რომელთა ჩირაღდნები ოდნავ, სულ ოდნავ ანათებდნენ ოღრო ჩოღრო და დაუსრულებელ ვიწრო ბილიკს...

ვიღაცას მქუხარე ხმის მომლოდინე მთაც სდუმდა... ლოდები, შავი ლოდები მაღლით გადმოჰყურებდნენ ბილიკს. წვეტიანი ქვები ფეხს უსერავდა მგზავრებს... ცრემლთან ნარევი თბილი სისხლი ადამიანისა, ქვიშას ასველებდა, შორს ნაკადით ჩარბოდა ქშუილით, თითქოს სურდა ვიღაცასთვის ემცნა ნახული და გაგონილი,—შებრალების ბჭენი გაეღვია... მაგრამ არავის არაფერი არ ესმოდა...

მთა კვლავ სდუმდა.

ცა გაცრეცილი, ცა ფერმკრთალი, გარინდებული დაჰყურებდა მგზავრებს, მალი-მალ იღრუბლებოდა, პირმქუშდებოდა.

მთის შავი ნაპრალები აქა-იქ დაფანტულ უშველებელ ყორნის ფრთებს მიაგავდა. ჩირაღდნები დროგამოშვებით ხან ქრებოდა, ხან ხელახლად ინთებოდა. ასე იციან უმთვარო ღამეში ობოლმა ვარსკვლავებმაც: ერთი—გაახელს თუ არა თვალს, ცის უსაზღვრო თაღზე, ციმციმებს... კრთის... მომაკვდავსავით თვალს ლულავს, შემდეგ კი, უსაზღვრო ბნელში ინთქმება... მის მაგივრად ახლა მეორე ვარსკვლავი იწყებს ხოლმე კიაფს, მერე მესამე და ასე, დაუსრულებლივ...

მოშე კარგად, ხედავდა, თუ როგორ ელეოდა ჩირაღი ხელში... ამჩნევდა თუ როგორ ეკარგებოდა მას ელვარება... წინანდებურად არ ლაპლაპებდა... მხოლოდ თავის გარშემო მკრთალ, რაღაც ყვითელ სინათლეს აბნევდა...

კლდის პრდალებული ნაჩხები უფრო შავად გამოიყურებოდნენ, ბილიკი უფრო ვიწრო და ძნელი სავალი ხდებოდა.

მოშე გრძნობდა, რომ ისიც სხვებივით შეიქნებოდა მსხვერპლი, მთის გულცივობისა.

მოშე გრძნობდა რომ ვერ მიაღწევდა სანატრელ მწვერვალს, იგი ჯერ კიდევ შორს... შორს იყო, ხოლო ოდნავ მოსჩანდა მაგრამ...

ფიქრი მგზავრისა მაინც გაჰყოლოდა სისინა ნიავს, ოცნება, ტკბილი ოცნება თავის მსუბუქ ფრთით ხშირად გადააფრენდა ხოლმე იმ საშინელ ნაპრალებს და აღთქმის ქვეყნისკენ სავალ გზას უადვილებდა. მოშეც მიდიოდა წინ, სულ წინ.

— „ოჰ, რად არ დასკდება სიბრალულით თვით ცივი ლოდები!! რისთვის არ მოლბება გაყინული გული შავი მთისა! სტირიდეთ, ვისაც ჯერ ვერ გიპოვიათ გზა... სტიროდეთ ბნელში მყოფნო... სტიროდეთ თქვენც, რომელთაც ხელში მბჟუტავი ჩირაღდნები გიპყრიათ... სტიროდეთ თქვენ, საშინელ ნაპრალთა მსხვერპლნო!... დრო გამოშვებით ამბობდა მოშე, როცა ადამიანს ადამიანური მწარე ფიქრები ერეოდნენ. ჩირაღი კი ისე ბჟუტავდა, როგორც განთიადისას ცისკრის ვარსკვლავი...

ერთხელ, დაქანცული მოშე დაეშვა ძირს და ცივ ლოდზე მოიკეცა. ცოტა გაწყდა სასოწარკვეთილებამ არ დასძლია, ცოტა გაწყდა ლოდს თავი არ დაანარცხა. სურდა თავის მოკვლით მოეპოვებინა მოქანცულ სულის ნავთსაყუდარი...

ბნელოდა ძალზე. მოშეს ჩირაღი ოდნავ ბჟუტავდა. უცბად დაჰბერა ქარმა, ცის გუმბათიდან შავი ღრუბლები მიმოჰფანტა და მთის მწვერვალს შუქი დაადგა... მწვერვალი იგი ახლო, სულ ახლო მოსჩანდა.

— „მთაო გადმიშვი... გადმიშვი...“ გაისმა მღელვარე ხმა აღფრთოვანებულ ადამიანისა. მოშე მოსწყდა ლოდს და კვლავ გასწია წინ... წინ!..

ბ.

მოშე მხნე ნაბიჯით მიდიოდა ზევით და ზევით. ციცაბო კლდეები, ხევ ხუევები დაბლა რჩებოდა.

მაღლა, ფრიალო კლდის ერთ კალთაზე, მოეკეცა მარმარილოს ქანდაკებასავით გაცივებულ თეთრი წვერა მოხუცს. იჯდა იქ იგი და ნაღვლიანად მღეროდა .. სიმღერა მისი, სევდიანი იყო—ვით გაყვითლებულ ფოთოლთ შრიალი. გრძელი ობობას ფეხის მსგავსი ხელი მუხლზე შემოეხვია... ცალი ხელით კი, ქვიშაზე რაღაცას ხაზავდა... ხაზავდა მაგრამ არ იცოდა რას? მისი ჩირაღიც ჩასაქრობად ემზადებოდა.

მოხუცის მწარე მოთქმა მოშეს სისხლს უყინავდა, ენას უბამდა.

— მამილო! კიდევ შორს არის?... კიდევ ბევრი მაქვს გზა სავალი აღთქმის ქვეყნამდე?—როდის, როდის შეეკითხა მოშე მოხუცს.

—შორს.. ძლიერ შორს არის. მაგრამ ნუ გეშინიან, ჭაბუკო, იარე.—დაიბუბუნა მოხუცმა. ნუ გეშინია, საცა ჩაჰქრება შენი სიცოცხლის ჭრაქი, იმ ადგილს ხრამი ცოტათი ხომ მაინც ამოივსება... მე აქამდე მოვაღწიე... მე უკვე სიკვდილის პირადა ვარ... მეტი სიარული აღარ შემიძლია. საცაა შემოუბერავს მთის სიო ჩემ ჩირაღდანს და ჩაჰქრება იგი... რა ვუყოთ მერე! ჩემამდე ბევრს უცლია აქეთ. იმათი დაქნილია ეს ბილიკი. მე ცოტა რამ მოვუმატე ამ გზას. შენც ცოტას მოუმატებ. შენი გზით სხვებიც წამოვლენ... არა! მოდიან კიდეც . . იარეთ, შვილებო, იარეთ! ერთხელაც იქნება გადავლახავთ ამ მთის ქედს... ერთხელაც იქნება ჩვენის ლეშით ამოთვრეება ეს გზა უვალი და ერთი ერთი ჩვენი მოძმეთაგანი მაინც გადახედავს აღთქმის ქვეყანას .. მაშინ იეგოვა გვაპატიებს ჩვენ ცდომილებას და შვილნი ჩვენნიც მადლობით მოგვიხსენებენ. . . იარე—კვლავ ბრძანა მოხუცმა და თვალებიდან ცეცხლი დააკვესა...

მოხუცის თვალთაგან დანაკვესმა ცეცხლმა მოშე ერთი-ორად გაამხნევა... მადლობით გადმოხედა მოხუცს და გასწია...

მთა, გულ-ცივი, შავი მთა ისევ სდუმს... მრავალი ლამპარი ენთება და ჰქრება ცის გუმბათზე. ქარი გრძნეულსავით კვლავ დასისინებს და დაღმეის მთის გამშრალ ხევ-ხუევებსა, მოშე კი კვლავ მიჰქროლავს ბილიკს და მიდის წინ... წინ—აღთქმის ქვეყნისკენ. **ქ. ფერიაშვილი.**

და განცვიფრებას ეძლევიან რად მიანდევს ასეთ შეუფერებელ ადამიანს ეს თანამდებობა. საკვირველია, სწორედ! არ იცნობთ ადამიანს, არ იცით რამდენად ღირსეული, ან უღირსი გამოდგება თავის მოვალეობის ასრულების დროს, და თქვენ წინ-და-წინ ავანსად ილანძღებით! შეგიძლიანთ ემსახუროთ კერპსა, უკმიოთ მას გუნდრუკი, მაგრამ გზა-და-გზა ბრალიანისა და უბრალოს ხელის წაპოტინება ნუ იქნება. ცოტა მოთმინება იქონიეთ!

განსაკუთრებით ამ მხრივ ყველას წინ გაუსწრო „ზაკავკაზიეს“ კორესპონდენტმა კონ. იაკოვლევმა. ეს დალოცვილი ისე აცხობს რეცენზიებს, როგორც ბლინებს, უეცრად, სულის შებერვით, ერთის შეხანხვლით!

„ზაკავკაზიე“-ის მე 202—№-ში მოთავსებული რეცენზია „ღალატის“ შესახებ თავით-ბოლომდე სიყალბეზე არის აგებული, და ხომ იცით სიცრუეს როგორი მოკლე ფეხები აქვს?

უპირველესად, ამ წარმოდგენით სრულიადაც არ იხსნებოდა **სეზონი.** იგი იყო უბრალოდ, ჩვეულებრივად გამართული წარმოდგენა.

პიესა კარგად ჩაატარეს. თითქმის უკეთ ვიდრე მაშინ, როდესაც ამ პიესაში თვით ჩვენი დიდი მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას.

რაც შეეხება გალანძღულ რეჟისორს—ამ შემთხვევაში ბ-ნ ქორიძეს, იგი თითონ დაიცავს თავის თავს და ჩემს ქომაგობას არ საჭიროებს ვიტყვი მხოლოდ რომ ამ პიესის მზადების დროს და თვით წარმოდგენის ღამესაც ბ-ნი ქორიძე ქუთაისში არც-კი ყოფილა... როგორ მოგწონთ, ასეთი სითამამე გაზეთ „ზაკავკაზიეს“ კორესპონდენტისა?!

⁂

ცნობილი მოგზაური ქალი კორსინი ქუთაისსაც ესტუმრა და სამი ლექცია წაიკითხა: ინდოეთზე, ეგვიპტეზე და ახალ-ზელანდიაზე. ხალხი მუდამ ბევრი ესწრებოდა და დიდი შთაბეჭდილებაც გამოიტანა, უმთავრესად იმ საუცხოვო სურათებიდამ, რომელიც ლექციის შინაარს ასაბუთებდა.

დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ასეთ ცოცხალ ლექციებს, და ვერც-ერთი მჭუხარე და ენაწყლიანი ორატორი ვერ მოახდენს ასეთ ხანგრძლივ შთაბეჭდილებას.

⁂

ქუთაისში რუსული სცენის მოყვარენიც მხნედ შეუდგნენ ამ სეზონში წარმოდგენების მართვას. კვირას, 12 სექტემბერს უკვე მეორე წარმოდგენა გაიმართა. ითამაშეს „რევიზორი“ და კარგადაც ჩაატარეს. ხლესტაკოვის როლი შეასრულა „ყოფილმა მსახიობმა ქართული სცენისა.“ ბ-ნმა დ. ჩარკვიანმა. როგორც გავიგეთ ბ-ნი დ. ჩარკვიანი დრამ. საზ. *გამგეობას წრეულს დასში აღარ მოუწვევია და ამიტომაც იგი თავის თავს დემონსტრატიულად „ყოფილს“ უწოდებს. ჩვენ არ ვიცით, რა ნიადაგზე არის აღმოცენებული ბ-ნ დ. ჩარკვიანის დასში მიწვევა-მოუწვევლობა, ვიცით მხოლოდ რომ ჩვენ ქართველებს თითქმის ყველას ღირსებასთან ერთად გვჭირს სენი ნაკლულევანებისა და ვაი, რომ ხშირად ნაკლულევანება ღირსებას გადააჭარბებს ხოლმე...

ამ მოვლენას ჩვენ თითქმის შევეჩვიეთ კიდეც და აღარ უნდა გვიკვირდეს.

ჩვენი სუსტი სცენისათვის ბ-ნ დ. ჩარკვიანს საკმაოდ საჭირო ძალად ვსთვლით...

ჯაფარ-ფაშა.

სასამართლო

ლანჩხუთის ბოქაულად ნამყოფის მიქიაშვილის საქმე.

10 სექტემბერს, ბათუმში, ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია ლანჩხუთის ბოქაულად ნამყოფის მიქიაშვილის საქმე. მას ბრალს სდებდნენ, რომ 1) ლანჩხუთში სამსახურის დროს 1906—07 წლებში ქუთ. სახაზინო პალატის სახარჯო ფურცლებით მცხოვრებთაგან გადასახადი აკრიფა, ფულები კი მიითვისა; 2) 1907 წ. 5 აპრილს, შეურაცხყოფა მიაყენა სადგურის ჟანდარმს ლუცენკოს, ქუჩურად გალანძღა იგი და გარდა ამისა უთხრა იქ მყოფთ: მიუგდეთ „მაგას ერთი მანათი, ჟანდარმებს ხომ ქრთამის აღება უყვართო. მესამე, ყველაზე სერიოზული ბრალდება ის იყო, რომ 1906 წ. 6 ივლისს მისი განკარგულებით და ბრძანებით „სტრაჟნიკებმა“ და კაზაკებმა დაამტვრიეს და გაძარცვეს ლანჩხუთის ვაჭრების დუქან-მაღაზიები, რამაც მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა.

საქმე ირჩეოდა ადგილობრივ მომრიგებელ სასამართლოს შენობაში ხალხის თანადასწრებით. ბევრი იყო გარჩევაზე დასწრების მსურველი, მაგრამ შენობის სივიწროვის გამო ძლიერ ცოტა ხალხი შეუშვეს.

კარებიან ბევრი ცნობის მოყვარე თავმოყრილი. უცდიან მიქიაშვილს. სურთ დაინახონ: რა ცვლილება მოხდარა ამ ერთ დროს „ძლიერთა-ძლიერ“ კაცში, რომელიც ტოლმაჩევის ფრთეთა ქვეშ შეფარებული, ღვთის რისხვა იყო ლანჩხუთის ნაწილში. გამოჩნდა თუ არა ბოქაული, ხალხში გაისმა: „ოჰო, ძალიან მოხუცებულა, ლაზათიანად მოუკრეჩხავს!“ და სხ. დაიწყო საქმის გარჩევა. დამნაშავეს იცავს სახელმწიფო დამცველი გინკულოვი. თავმჯდომარის კითხვაზე,—სცნობს თუ არა მიქიაშვილი თავის თავს დამნაშავედ, ბრალდებული ამბობს: „მართალია, გადასახადი ავკრიფე და დანიშნულებისამებრ არ ჩავაბარე მაგრამ ეს განზრახ არ ჩამიდენიო“ მეორე ბრალდებაც თავს იდო და მოტივად ის დაასახელა, რომ ჟანდარმის თავხედულმა მოქმედებამ მაიძულა ასე მოვქცეულიყავო.

ლანჩხუთის ვაჭრების და მცხოვრებლების ძლეტა-აწიოკება ასეა აწერილი საბრალმდებლო ოქმში: 1906 წ. 6 ივლისს ქუჩაში მიმავალ მაშინ ბოქაულათ მოსამსახურე მიქიაშვილს ვიღაცეებმა ტყვიები დაახალეს, რასგანაც მიქიაშვილს არავითარი ზიანი არ მიჰყენებია. მიქიაშვილმაც სროლა ასტეხა და როცა სტრაჟნიკები და კაზაკები მოცვივდნენ, მან უბრძანა მათ დაემტვრიათ დუქან-სახლები და დაეძარცვ-დაეტაცნათ ყველაფერი. სტრაჟნიკებმა და კაზაკებმა დაწვრილებით შეასრულეს ნაბრძანები, რასაც შედეგად მოჰყვა გიმნაზიელ, ვაჟის კვირკველიას მოკვლა და ლანჩხუთის თითქმის ყველა დუქანმაღაზიების დამტვრევა და გაძარცვა.

„არა ვარ დამნაშავე ამ ბრალდებაში,—განაცხადა მიქიაშვილმა ჩვეულებრივ შეკითხვაზე. შეუდგნენ მოწმეების შეკითხვას.

მოწ. ი. მახარაძე, ლანჩხუთელი მედუქნე აჩვენებს, რომ მან დაინახა და გაიგონა, როგორ გასცა მიქიაშვილმა განკარგულება დაემტვრიათ და დაეძარცვათ მაღაზიები. მას, მოწმეს, მოუნდომებია თავის დუქანში შესვლა, მაგრამ არ გაუშვიათ. თვითონ მახარაძეს 12,000 მ. ზარალი უნახავს.

მოწ. ღლონტი. აქაური მედუქნე, სავსებით ამოწმებს მიქიაშვილის ნამოქმედარს და ამბობს, რომ მან 2,000 მ. ზარალი ნახა მისი წყალობით.

მოწ. ა. წილოსანი, იმ დროს ეკლესიის გალავანში მყოფს, გაუგონია როგორ უბრძანებია მიქიაშვილს მაღაზიები დაემტვრიათ და გაეძარცვათ ყველაფერი. მოწმის სიტყვით კაზაკებისა და სტრაჟნიკების ცოლებსაც მიუღიათ მონაწილეობა ძარცვა-გლეჯაში. მოწმეს 410 მ. ზარალი მოსვლია.

მოწ. ი. წილოსანი (დღეს ჯარის კაცია) აჩვენებს, რომ მიქიაშვილს ვიღაცეებმა საიდგანღაც სროლა აუტეხეს, მიქიაშვილმა რევოლვერი იძრო და ბაზარში მყოფ ხალხს დაუწყო სროლა და ერთი ტყვიით კიდეც გააფრთხობინა სული გიმნაზიელ კვირკველიასო. უსათუოთ მიქიაშვილმა მოკლა კვირკველია იმიტომ ვამტკიცებო—განაცხადა მოწამემ, რომ იმ დროს მიქიაშვილის მეტი არავინ ისროდაო.

მოწ. სულია ბეჟან-ოღლი ამოწმებს დანარჩენ მოწმების ჩვენებას და დასძენს, რომ მან თავისი თვალით დაინახა, როგორ მიირთმევდა ბ. მიქიაშვილი ვიღაც აფიცერთან ერთად შამპანიურს ძლეტა-აწიოკების შემდეგ და როგორ ულოცავდა მას აფიცერი ბედნიერად გადარჩენას.

მოწ. რუმეცკი (ჩერნომ. ყაზახთა პოლკის აფიცერი)

—ბოქაული ჩემთან იყო, ჩემგან გავიდა თუ არა, სროლა მოისმა. როდესაც სროლის ადგილას მივედი, დავინახე მიქიევი დუქნებისაკენ გარბოდა. სროლის ხმაზე ჩაფრები მოცვივდნენ და უთავბოლოთ სროლა ასტეხეს. შემდეგ მოვიდნენ ყაზახებიც და დუქნების ჩხრეკა დაიწყეს. მე დავიწყე ბოქაულის ძებნა და მალე ვიპოვე დუქნებში. მასთან ერთად დაბრუნების დროს გზაზე წავაწყდით მოკლულ ახალ გაზდა კაცის გვამს, ჩვენ რამდენიმე კაცი დავატუსაღეთ, მაგრამ ბოქაულმა ისინი დამნაშავეებათ არ იცნო და ისევ გაანთავისუფლა. დაზარალებულ ვაჭრების თხოვნით გუბერნატორმა კომისია დანიშნა, რომელმაც გაჩხრიკა ჩაფრები და ყაზახები, მაგრამ მოტაცებულ ქონებიდან მათ არაფერი არ აღმოაჩნდათ.

სასამართლომ გამოაქვეყნა მოწმეების გ. ცინცაძისა და ს. ბრინცევის წერილობითი ჩვენება. ორივე მოწმე ამტკიცებდა ბრალდებულობის ჩადენას. მოწმე ბრინსკი მიქიევის ბოქაულობის დროს უფროს ჩაფრად იყო და თვითონ მხურვალე მონაწილეობას იღებდა დარბევაში, რისთვისაც რამდენიმე წლის ციხე მიუსაჯა სასამართლომ. ის სწერს, რომ დარბევა, დუქნების გაძარცვა მიქიევის განკარგულებით მოხდა და დასძენს, რომ ეს ამბავი მან წინადაც აცნობა მთავრობას.

ბრალმდებელი ფაასი აღნიშნავს, რომ ორ დანაშაულობაში მიქიევი თვითონ გამოტყდა. რაც შეეხება ლანჩხუთის დარბევას და გაცარცვას, მოწმეების ჩვენებით მიქიევის დამნაშაობა აქაც დამტკიცებულია. ბრალმდებელი მოითხოვს მიქიევის 1,641 მუხლის ძალით დასჯას.

დამცველმა გინკულოვმაც დაადასტურა, რომ ორ საქმეში მიქიევი დამნაშავეა. მესამე ბრალდების შესახებ დამცველმა სასამართლოს ყურადღება მიაქცია მიქიევის სულიერ მდგომარეობაზე, რომელიც თავდასხმის გამო აღელვებული იყო და არ შეეძლო თავის მოქმედების აწონ-დაწონა. დამცველმა მოითხოვა მიქიევის განთავისუფლება ლანჩხუთის დარბევის და გაცარცვის საქმეში.

სასამართლომ მიქიევი დამნაშავედ იცნო სამივე ბრალდებაში და 5 წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა, უფლებათა ჩამორთმევით.

მიქიევმა უნდა გადაიხადოს 198 მ. და 11 კ. ქუთაისის სახაზინო პალატის მოთხოვნის თანახმად და აგრეთვე სასამართლოს ხარჯები.

უცხოეთი

გერმანიის წარმატება.

გერმანიის საზღვაო სამინისტროს ოფიციალურ გაზეთმა თავის ხელის მომწერლებს დამატებად დაურიგა ანგარიში 1908 წლისა.

ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ გერმანია დიდის ნაბიჯით მიდის წინ. გერმანიის აღებმიცემობას ხმელეთზე 1894—1904 წლამდე 48 პროცენტით უმატნია, ხოლო ევროპის ქვეყნებთან საზღვაო აღებმიცემობა კი 68 პროცენტით გაზრდილა; სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა 98 პროცენტზე ასულა.

1904 წ. ზღვით შემოტანილ და გატანილ აღებმიცემობის საერთო თანხა 4,253,000,000 მანათს უდრის.

ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში (1904 წლამდე) გერმანელ მცხოვრებთა რიცხვი 41 მილიონიდან 58 მილიონამდე ასულა.

ასეთმა გამრავლებამ გერმანელთა სხვა ქვეყნებში გადასახლება გამოიწვევია: 1901 წ.—1904 წლამდე შეერთებულ შტატებში (ამერიკა) გადასახლებულა 108,858 გერმანელი, ბრაზილიაში—3,257, სამხრეთ ამერიკის სხვა კუთხეებში—2,208, აფრიკაში—473, აზიაში—10, ავსტრალიაში—702.

ამათ გარდა აურაცხელი გერმანელია სხვა ქვეყნებში გასული სავაჭრო აგენტებად, ზღვაოსნებად და სხვ.

გერმანიის სავაჭრო ფლოტი დღეს დედამიწის ყველა კუთხეს უვლის და თითქმის მონოპოლია საიგდო ხელში. 1910 წელს გერმანიას ჰქონია 1,800 ორთქლმავალი გემი, 2,560 იალქნიანი, რომელზედაც მსახურობს 64,000 კაცი. გერმანია ყოველ წლივ უმატებს საზღვაოსნო ხარჯთ აღრიცხვას.

1873 წელს დაუხარჯია	13 მილ. მან.
1888	25 მილ. მან.
1898	61,671,000 მ.
1909	195,949,690 მ.

ხოლო 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში განზრახულია 219,800,000 მ.

გერმანელთ, (წარსულის წლის ანგარიშით, წელიწადში კაცის თავი) 14 მანეთს იხდის ზღვაოსნობის გასაუმჯობესებლად.

ეს ხარჯი გაცილებით იმატებს, რადგანაც ამ ხუთის წლის შემდეგ განზრახულია საზღვაოსნო ხარჯთ-აღრიცხვა 250 მილიონ მანათამდე ასწიონ.

ეგიპტელთა კონგრესი.

როგორც ვიცით, პარიზში მთავრობამ აუკრძალა ახალგაზდა ეგვიპტელთ ეროვნული კონგრესის გამართვა.

ამის მიზეზად იმას ასახელებენ, ვითომც ახალგაზდა ეგვიპტელები ინგლისის წინააღმდეგ ილაშქრებენ და საფრანგეთის მთავრობას უნდა და ინგლისის მთავრობის გული მოიგოს. მაგრამ თვით საფრანგეთის მთავრობაც არ არის მადლიერი ახალგაზდა ეგვიპტელებისა, რადგანაც ისინი ჰკიცხავდნენ საფრანგეთის პოლიტიკას მაროკოში და ხან ფაქტიურადაც ჩაერევიან ხოლმე საქმეში და მაროკოელებს მხარს აძლევენ. კონგრესი მოხდება ბელგიის სატახტო ქალაქ ბრიუსელში.

რუსეთი

თვით მკვლელობა.

აგვისტოს განმავლობაში მოსკოვში თავის მოკვლის განზრახვის 71 შემთხვევა იყო. ამათ შორის 12 მოკვდა. თავის მოკვლა განუზრახავს 20 ქალს, 51 კაცს, წოდებით: 33 გლეხს, 11 მოქალაქეს და 27 კაც. სხვა-და-სხვა წოდებისას. ყველაზე ხშირად თავს ძმრის ესსენციით იწამლავენ.

კნუტ ჰამსუნის დეპეშა.

ცნობილ ნორვეგიელ მწერალს კნუტ ჰამსუნს დაუწერია ახალი პიესა. ეს პიესა რუსულად გადაუთარგმნია ბ-ნ ლევინს. კნუტ ჰამსუნი დეპეშით ატყობინებს სატახტო ქალაქის გაზეთებს,—რომ მთელს რუსეთში ამ პიესის თარგმნის უფლება მხოლოდ ბ-ნ მ. ლევინს მივეცი და თუ ვინმე სხვა გადათარგმნის, ან გაჰყიდის, პასუხის გებაში მივცემო. დეპეშა გამოგზავნილია ნორვეგიის ქალაქ ელვერუდან 1910 წ. 14 სექტემბრის (ახალის სტილით) თარიღით.

გერმანულ გაზეთის აკრძალვა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა გერმანულ გაზეთ „Berliner Tageblatt-“ის რუსეთში შემოტანა. ამის მიზეზად იმას ასახელებს მინისტრი, რომ ეს გაზეთი დღე მუდამ ამცირებს და სირცხვილში აგდებს რუსეთსა. ეს გაზეთი რუსეთში 15 ათასი იყიდებოდა.

ვოლგის ნაპირებზე.

გაზ. „ვოლგ. უწყებ.“ ნიშანდობლივ ამბავს გადმოგვცემს რუსეთის ცხოვრებიდან: „ვოლგის ნაპირებზე გემთა საამშენებლო სადგურებთან ხშირად დაინახავთ მუცელ-გაბერილ დედაკაცებს, ესენი ფეხმძიმედ არიან, ხოლო ყოველ დღე შობავენ, რომ მეორე დღეს ისევ მუცელ-გაბერილები გამოვიდნენ მოედანზე. თურმე ეს „მოძრავი“ არყის დუქნები ყოფილან უშველებელ წინ-საფარ ქვეშ, უშველებელი ლივე პარკით გამოაქვთ არყით სავსე „მერზავჩიკ“—პსანჩიკები“ არყის შუშებსა ჰქვიანთ და მუშებზე ჰყიდიან.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ საშუალება მოგვცეთ თქვენის პატივცემული გაზეთით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ, სოფ. ნოსირის სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მუდმივი წევრობისა და ერთ დროულად ფულითა თუ სხვაფრივ დახმარებისათვის შემდეგ რედაქციებს და პირებს.

„სახალხო გაზ.“ და ჟურ. „მოსავალის“ რედ. სრულიად უფასოდ დათმობისათვის, გაზ- „საქმეს“ ნახევ. წ. 1 მ. 75 კ. ჟ. ჟ. „ჯეჯილი“ და „ნაკადულის“ რედაქციებს წლიურად სამ-სამ მან. დათმობისათვის. მიხაკო გაჩეჩილაძეს—წიგნები 7 მ. 51 კ. ღირებულის, ნესტორ ლეჟავას—საათი და ლამპები, ღირებული 19 მ., ექ. სვეტლანე ჭილოშვილს 1910 წ. ჟურნ. „ნივას“ გამოწერისათვის, იონა კედიას 6 მანეთის წიგნებით დახმარებისათვის.

ფულით შემომწირველნი:

მუდმივი წევრები: პორფირე იულონის ძე დგებუაძე და სერგო ფილიპეს ძე გუდავა—ათ-ათი მანეთი, მურზა დუდუჩავა და გრიგოლ დგებუაძე (1 მ. 76 კ.)—სამ-სამი მან., გრიგოლი მილორავა, გიორგი მილორავა, თედრო მილორავა, ილარიონი მილორავა, ბაგრატი კიზირია (2 წიგნიც), დომენტი კიზირია (42 ც. წ.), პეტრე გამსახურდია, ნესტორ ჩილაჩავა, გიორგი ჩილაჩავა, ქ. ვალერიანა ჩილაჩავა, ქ. კატი ჩილაჩავა, უშანგი ჩილაჩავა, ეაიოზ ჩილაჩავა და მიხა ჩილაჩავა, პორფირი გუდავა, ხარისთო გუდავა, ლავრენტი გუდავა, ფილიპე გუდავა, ქ. ბ. მარიამ გუდავასი (1 წიგ.) ქ-ნ ბაბუ გუდავასი, მიხა ლომაია და ევგენი გოგებაშვილი წლიურად თითო მან.

მღ. პორფირე სისორდია, პორფირე ჩილაჩავა (12 წიგნ.) ესტატე გუდავა (2 წიგ.6) აქსენტი გამსახურდია (110 ც. წ.) ორ-ორი მან. პავლე კიზირია, ანდრო კიზირია (სტოლები და სკამებიც ღირებული 12 მ. 50) ხუთ-ხუთი მან.

მადლობას ვუძღვნით აგრეთვე არსენ ჭკადუასა, შარდლა დ. ქავთარაძეს და კოალია გიგიბერიას—ათ-ათი მანეთს შემოტანისთვის ყოველ წლიურად. ერთ დროულად დახმარებისათვის: პეტრე კიზირიას—29 ც. წიგ. და ათი მანეთი ფული, ფარნა კიზირიას—1 მ., 88 ც. წ. და 25 კ.—ელენა კიზირიას, 11 წ. ამბაკო კიზირიას 3 წ. გარი მილორავას, 5 წ. ფატი დგებუაძეს, 2 წ. ოლია დგებუაძეს, 3 მ. ლამპისათვის, ივანე გამსახურდიას, 1 მ. ყუთი და 5 წ. თამარა ავქსენტი გამსახურდიას ასულს, 3 წ. სიმონ (ფუხული) ჩილაჩავას, 4 ც. წ. სტ. გრიშა და დ. ქავთარაძეს, 3 წ.—სტ. პეტრე პ. ქავთარაძეს, „მთელი კრებული ლერმონტოვის თხზ.“ ძვირფასი ყდა და ქაღალდით—ნატაშა დ. ქავთარაძეს, აკაკის სურათი ჩარჩოში ნიკო დ. ქავთარაძეს, 12 წ.—ქ-ბ. ელენე წირღვავასას, 42 ც. წ. ქ. ქრისტინე კუპრეიშვილს 4 მ. 50 კ. ღირ. მაცხოვრის ხატი—მღ. არსენ ჭალაგანიძეს, სევერინა მილორავას სახელით 1910 წ. ჟ. „ჯეჯილის გამოწერისათვის, ქ-ბ. გრაფინია გოგორიშვილი ჭალაგანიძისას, 3 წ. პროკოფი გუჯაბიძეს, 2 წ.—გრიგორი ჭკადუას, 50 კ.—თედოტი გუდავას და 1 მ. დახმარებისათვის ნიკო რატიანს.

ადგილობრივ მცხოვრებთა დავალებით გამგე **ბაგრატ კიზირია**, მზრუნველები **მიხა ჩილაჩავა, ლავრენტი გუდავა** და **სპირდონ მილორავა**

ბიბლიოთეკარი **დომენტი კიზირია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

ექიმი ი. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

[illegible]

ფასად იღებს [illegible] 6—180

ცხოველების გამჭრიახობა

პატარა ბავშვების პირველი საკითხავი დასურათებული წიგნი.

ფასი 25 კაპ.

იყიდება „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა № 5, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ვინც ათზე მეტ წიგნს იყიდის, მათ დაეთმობათ 20 კ. (10—58—1)

ძმათა ავსარქისოვების

ბაღსა და სანერგეში

მოიპოვება საზღვარ-გარეთისა, რუსეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილი.

კატალოგები იგზავნება მოთხოვნისათანავე უსასყიდლოდ.

მისამართი: სად. სკრა, ამიერ-კავკასიის რკინის გზისა.

(15—55—3) ავსარქისოვი.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრამიანისა.

ავტორი „ვაჭრობ ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ.

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის. წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 714.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ლ—17)

საბუღალტერო კურსები

ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.

ი. ფონ-ბრენნერისა,

(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).

კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ. კლასები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუხჰალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოების აგენტისა და სხვა.

კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუხჰალტერიას (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საერობო საბჭოების, არყის მონოპოლიის, საზარხნო, სასოფლო სამეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეწყვიან საკუთრივ აწარმოებენ წიგნები. 2) კომ. არითმეტ.—საბანკო, საქონლისა, სავექსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) კორესპონდენციას—კომერციულ წერილების შედგენა საბუხჰალტერო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) კალლიგრაფიას—ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების შესწავლას; 5) კანონდებას—სავექსელო, საგერბო სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წესდებათა შესწავლას. 6) საწერ მანქანებზე წერას; მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ ამასთანავე ტეხნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტეხნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) საქონლის ცნობას,—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) ანგარიშის ჩოთქზე—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.

კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ პრაქტიკა ი. ფონ-ბრენნერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.

კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2-ში—საქალაქო ან საოთხკლასიან საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3-ში—ბუხალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ-დღე დილის 9-6 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044. (20—ბუხ—9)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4).

სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგიერის მუსტერ-ლომტუარში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5 კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. სტენოგრაფია. 3 დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.

კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან,

კურსების დირექტორი ტ. ფილოიანი.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სინდულაშვილი.